

მშობლიური ოჯახის წევრთა გავლენა განქორწინებულ ქალთა ცხოვრების
წესზე

თამარ ხიმშიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე, სოციოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასისტენტ-პროფესორი, ნინო რჩეულიშვილი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ ხიმშიაშვილი

29.06.2022

აბსტრაქტი

განქორწინებულ ქალთა მიმართ არსებული კულტურული მოლოდინები გარკვეული გამოწვევების წინაშე აყენებს როგორც აღნიშნული სტატუსის მქონე პირებს, ასევე მათ მშობლიურ ოჯახებს. განქორწინებული ქალები გამუდმებით განხილვის ობიექტები არიან სოციუმის მხრიდან, რასაც ზოგიერთი მათგანის ცხოვრების წესზე გავლენის მოხდენაც შეუძლია. საზოგადოებრივი წნეხის ყველაზე ახლო და პირველადი აგენტები ხშირად მათივე ოჯახის წევრები არიან, რომლებიც ცნობიერად თუ არაცნობიერად გარკვეულ ზღვრებს უწესებენ თავიანთ შვილებს/დებს/შვილიშვილებს, რაც ზღუდავს განქორწინებულ ქალთა არჩევანსა და სამომავლო პერსპექტივებს.

წინამდებარე ნაშრომის ინტერესის საგანია მშობლიური ოჯახის წევრთა გავლენა განქორწინებულ ქალთა ცხოვრების წესზე. კერძოდ, შესწავლილია ის დადებითი თუ უარყოფითი ცვლილებები, რომლებმაც თავი იჩინა განქორწინებული ქალების ცხოვრებაში, მშობლიურ ოჯახში დაბრუნების შემდეგ. ასევე, ყურადღება გამახვილებულია სხვაობაზე ცხოვრების წესში ქორწინებამდელ და განქორწინების შემდგომ პერიოდებში.

კვლევა ფოკუსირებულია ქალაქ ბათუმში მცხოვრებ, 25-დან 35 წლამდე ქალების აღქმებსა და გამოცდილებებზე. ჩატარდა ხუთი არასტრუქტურირებული ინტერვიუ და განხორციელდა მათი ნარატიული ანალიზი. დასკვნაში წარმოდგენილმა შედეგებისა და თეორიული მასალის ანალიზმა აჩვენა საკვლევი საკითხის პრობლემატურობა ქართულ საზოგადოებაში. გამოიკვეთა, რომ სტერეოტიპული განწყობა განაპირობებს კოლექტიურ შფოთვას, განქორწინებული ქალებისთვის დაწესებულ არაფორმალურ შეზღუდვებს და ასევე თვითშეზღუდვას და ბრალეულობის გრძნობას, უშუალოდ ქალების მხრიდანაც.

კვლევა მნიშვნელოვანია გენდერის მკვლევარებისათვის და საკითხით დაინტერესებული პირებისთვის, რადგან საკითხის აქტუალობას ცხადჰყოფს, როგორც კვლევაში მონაწილე რესპონდენტთა განცდები, ასევე კოლექტიური შფოთვის ფაქტები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: განქორწინებული ქალები, მშობლიური ოჯახები, ჰაბიტუსი, შფოთვა, დისკრიმინაცია, არჩევანი.

Abstract

The existing cultural expectations towards divorced women create some challenges both for the persons and for their native families. Divorced women are constantly the object of discussion by society, which can affect the way of life of some of them. The closest and primary agents of public pressure are often their own family members, who sometimes knowingly and sometimes unknowingly set limits for their children/sisters/grandchildren in terms of freedom. Consequently, the choices and life chances of divorced women is limited.

The topic of interest of the present study is how the native family influences lives of the women after divorce. The paper deals with the positive and negative changes in relations between divorced women and their native family, compared to the period before marriage and divorce. The study is focused on the perceptions and experiences of divorced women aged 25 to 35 in modern Batumi, based on narrative analysis of five unstructured interviews. The analysis of the results and theoretical material presented in the conclusion demonstrates the problematic nature of the topic in question in contemporary Georgia. The study revealed that stereotypical expectations contribute to formation of collective anxiety around divorced women, which results into informal restrictions, imposed by the native family, as well as self imposed regulation/restriction by the divorced women.

Key words: divorced women, native families, habitus, anxiety, discrimination, choice.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში, დიდი წვლილი მიუძღვის ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასისტენტ-პროფესორ - ნინო რჩეულიშვილს. ხელმძღვანელი ნაშრომის შესრულების ყოველ ეტაპზე ეცნობოდა ჩემს მოსაზრებებს, მიზიარებდა თავის გამოცდილებას და მაძლევდა მნიშვნელოვან რეკომენდაციებს. რომ არა მისი თანადგომა, როგორც პროფესიულ, ასევე ადამიანურ საკითხში, ვერ შევძლებდი ნაშრომის სრულყოფილად შესრულებას. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მას ჩემს მიმართ გამოვლენილი მხარდაჭერისა და დამოკიდებულებისთვის.